პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 127 (1297) ○ ხუთშაბათი, 23 ოქტომბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ი. ბალაშის ახალი რეკორდი

18 ოქტომბერს ბუქარესტში ჩატარდა რუმინეთის მძლეოსანთა შეჯიბრება, სადაც დიდ წარმატებას მიაღწია მსოფლიო რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის იოლანდა ბალაშმა. მან დაძლია თამასა 183 სანტიმეტრზე და 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისი მსოფლიო რეკორდი.

## ლ. პაპა პროფესიონალურ

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, უნგრელმა მოკრივემ ლასლო პაპმა ამ დღეებში ჩაატარა მეოთხე ბრძოლა როგორც პროფესიონალმა მოკრივემ. იგი შეხვდა ავსტრიის ჩემპიონს კელერს. მე-6 რაუნდში ლასლო პაპმა ბრძოლა მოიგო ნოკაუტით.

## მიუნჰენის ოლიმპიადა

XIII საჭადრაკო ოლიმპიადის ფინალში ბრძოლა ლიდერობისათვის თავიდანვე საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიისა და არგენტინის გუნდებს შორის მიმდინარეობს.

საბჭოთა მოჭადრაკეებმა შედარებით სუსტი სტარტის შემდეგ გააუმჯობესეს თამაში, მათ დიდი ანგარიშით — 3,5:0,5 დაამარცხეს ჩეხები. აღსანიშნავია სმისლოვის პარტია გროსმაისტერ ფილიპთან, რომელშიც საბჭოთა გროსმაისტერმა მხოლოდ 14-საათიანი ბრძოლის შემდეგ შეძლო გამარჯვების მოპოვება. მე-6 ტურში საბჭოთა გუნდმა მოუგო ესპანელებს, რომლებმაც მიმდინარე ოლიმპიადაზე ძლიერი თამაშით საერთო ყურადღება მიიქციეს. მატჩში განმეორდა წინა დღის ანგარიში. პარტიები მოიგეს ბოტვინიკმა, კერესმა და ბრონშტეინმა, ყაიმით დამთავრა შეხვედრა მხოლოდ პეტროსიანმა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლიდერობისათვის ბრძოლაში საბჭოთა და არგენტინის გუნდების შეხვედრას, რომელიც მე-7 ტურში შედგა. არგენტინის გუნდში თამაშობდნენ გროსმაისტერები პილნიკი, პანო, ელისკაზესი და ოსტატი სანგინეტი, რომლებმაც შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს სმისლოვს, კერესს, ტალსა და პეტროსიანს. ბრძოლა დამთავრდა ყაიმით — 2:2. საბჭოთა გროსმაისტერების დიდი წარმატებით აღინიშნა მერვე ტურის მატჩი ინგლისელებთან, რომელიც დამთავრდა მათი გამარჯვებით — 4:0.

იუგოსლავიისა და არგენტინის გუნდებს, ისევე, როგორც საბჭოთა მოჭადრაკეებს, არ წაუგიათ არც ერთი მატჩი. იუგოსლაველებმა საბჭოთა მოჭადრაკეებთან ყაიმის შემდეგ ზედიზედ დაამარცხეს ბულგარეთის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეები, მაგრამ მინიმალური უპირატესობით, თითეული ანგარიშით 2,5:1,5, არგენტინელებმა კი ამერიკელებთან ყაიმის შემდეგ კიდევ ორი ქულა დაკარგეს ავსტრიელებთან. 8 ტურის შემდეგ იუგოსლაველებს აქვთ 21,5 ქულა, არგენტინელებს — 20.

ახლა საბჭოთა მოჭადრაკეები მტკიცედ ლიდერობენ ოლიმპიადას. მათ 23 ქულა აქვთ.

## წინაა ი. კუპერმანი

ჰოლანდიაში გრძელდება მატჩი 100-უჯრიან შაშში მსოფლიო ჩემპიონობაზე კანადელ გროსმაისტერ დელორესა და საბჭოთა გროსმაისტერ კუპერმანს შორის.

მე-10 პარტიამდე გროსმაისტერები უფრო დაზვერვითს თამაშს ეწეოდნენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კუპერმანმა რამდენჯერმე დაკარგა მოგების შანსები და პარტიები ყაიმით დასრულა.

მე-10 პარტიაში საბჭოთა გროსმაისტერი კვლავ ენერგიულად იბრძოდა. მან პერსპექტიული პოზიცია მიიღო. დელორემ ვერ შეძლო კუპერმანის შეტევის უვნებელყოფა და დამარცხდა. მეორე დღეს მსოფლიო ჩემპიონი შეუპოვრად ართულებდა თამაშს, რათა რევანში აეღო. კუპერმანი მშვიდად იგერიებდა მუქარებს და ცდილობდა გაექარწყლებინა მეტოქის ინიციატივა. მან მიაღწია კიდეც სასურველს. მალე დელორე ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. კუპერმანმა არ დააყოვნა კონტრშეტევაზე გადასვლა და გაიმარჯვა კიდეც.

ამჟამად, მე-11 პარტიის შემდეგ ანგარიშია 6,5:4,5 კუპერმანის სასარგებლოდ. მატჩის მოგებისათვის დარჩენილ 9 პარტიაში საბჭოთა გროსმაისტერს ჰირდება კიდევ 4 ქულის მოგროვება.



ოლდერშოტი (ინგლისი). მსოფლიო პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში.

* * *

სურათზე: საცარიკაო ბილიკზე არიან ნ. ტატარინოვი (სსრკ) და ფრანგი სპორტსმენი ბოვალე (მარცხნივ).



სურათზე: 300 მეტრზე ცურვაში მონაწილეთა სტარტი. მარჯვნივ — მსოფლიო ჩემპიონი თანამედროვე ხუთჭიდში ი. ნოვიკოვი.

ტაიმსის ფოტოები.

## გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები შეჯიბრებებიდან, მოვამზადოთ საიმედო ცვლა!

საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადა მთებს იქით არაა. დაძაბულ მზადებაში სწრაფად გაირბენს დღეები და მალე მოგვადგება სპარტაკიადის დაწყების თვე — აგვისტო. ჩვენ ამას წინათ დავუკავშირდით მოძმე აზერბაიჯანის სპორტული გაზეთის რედაქციას და ვთხოვეთ გადმოეცათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ემზადება რესპუბლიკა ხალხთა II სპარტაკიადისათვის. აზერბაიჯანელმა კოლეგებმა მოკლედ გვიპასუხეს: მთელი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების მუშაობა მიმართულია ჩვენი მთავარი მიზნის — საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადისაკენ. დაახლოებით ასეთივე შინაარსის ინფორმაცია მოგვაწოდეს სომხეთიდან. ეს ჩვენთვის მოულოდნელი არ იყო. ასეთი მართებული ღონისძიება ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ხანია ხორციელდება, რაიონებსა და ქალაქებში ჩამოყალიბდა საორგანიზაციო კომიტეტები, შემდგარია ნაკრები გუნდების რამდენიმე შემადგენლობა და წვრთნა მიმდინარეობს.

რესპუბლიკის სპორტული საზოგადოებრიობა მოითხოვს უკეთეს ადგილს, ვიდრე ჩვენმა დელეგაციამ დაიკავა პირველ სპარტაკიადაზე. საჭიროა წინ გადანაცვლება, მაგრამ ეს მეტად ძნელი ამოცანაა. ამისათვის საჭიროა მთელი ძალების მობილიზება, პარტიული ორგანიზაციების დახმარების მაქსიმალურად გამოყენება, არსებული ბაზების დროული რემონტი და მათი გამტარუნარიანობის გაზრდა, შეჯიბრებათა ჩატარების ახალი სისტემის ღრმად დანერგვა და, რაც მთავარია, მათი მაღალ სპორტულ დონეზე ორგანიზება და მათგან სათანადო დასკვნების გამოტანა.

როცა დასკვნებზე ვლაპარაკობთ, პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს თავისუფალ ჭიდაობაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდი. ჩვენმა მოჭიდავეებმა სულ ახლახან, „საკუთარ სახლში“, საკავშირო გუნდური პირველობის თასი რუსეთის ფედერაციის მოჭიდავეებს „გადაულოცეს“. წავაგეთ არა მარტო გუნდური პირველობა, ბევრმა ჩვენმა ჩემპიონმაც დათმო თავისი პოზიციები.

ახლა, როცა ეს ჩემპიონატი უკან დარჩა და საქართველოს სამი ან ოთხი ჩემპიონის ნაცვლად ერთადერთიღა შემორჩა, ჭიდაობის ზოგიერთი სპეციალისტი გამოთქვამს აზრს, რომ გათვალისწინებული არ იყო ბევრი ფაქტორი და ამიტომ მოჭიდავეებმა თავიანთი უნარი ვერ გამოიჩინესო. კერძოდ, აღნიშნავენ, რომ შეჯიბრების ჩატარებამ ღია ცისქვეშ უარყოფითად იმოქმედა, სპორტსმენებს აკლიმატიზება აკლდათო. რატომ? განა საქართველოს გუნდის ხელმძღვანელებმა არ იცოდნენ, რომ შეჯიბრების ჩატარება სტადიონზე იყო განზრახული? რასაკვირველია, იცოდნენ. ამიტომ ამგვარი ობიექტური „მიზეზების“ ძებნა საჭირო არ არის. რამდენიმე ათასი მაყურებელი ყოველდღიურად ხედავდა, რომ ჩვენი ქებული მოჭიდავეები არ იყვნენ მზად და ამაში ბრალი მიუძღვის გუნდის ხელმძღვანელობას, რომელიც დაეყრდნო მოჭიდავეთა სახელებს და გამოცდილებას, თვითდინებაზე მიუშვა საწვრთნელი მუშაობა და შედეგიც მეტად მწარე მოვიმკეთ. არ გამართლდა ანდაზა „სახლში კედლებიც გეხმარებიანო“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მავნე სენის შესახებ, რომელიც ზოგიერთ მწვრთნელს ახასიათებს. თავისი დიდი „ალღოსი და შორსმჭვრეტელობის“ დასამტკიცებლად ისინი აცხადებენ ამა თუ იმ სპორტსმენზე, რომ იგი უპერსპექტივოა, რომ იგი მხოლოდ „რესპუბლიკური“ მასშტაბისაა და ა. შ. ასეთი აზრი იქნა გამოთქმული ოდესღაც გ. ნებიერიძეზე, რომელიც ახლა უკრაინის სახელით ჭიდაობს და, როგორც ცნობილია, ჩემპიონიცაა. ჩვენის აზრით, ასეთ „ავტორიტეტულ“ განცხადებებს მეტი სკეპტიციზმით უნდა მოვეპყრათ.

საჭიროა სათანადო დასკვნების გამოტანა. თავისუფალ ჭიდაობაში პოზიციების დათმობას ჩვენ არავინ გვაპატიებს. ამიტომ უნდა გადაისინჯოს როგორც მწვრთნელთა, ისე თვით გუნდის შემადგენლობაც, განსაკუთრებით, მეორე ნაკრებისა. იგი უნდა დაკომპლექტდეს ახალგაზრდებით, რომლებმაც დღეს შეიძლება დამარცხება იგემონ, მაგრამ ხვალ გამარჯვებულის კვარცხლბეკის პრეტენდენტები იქნებიან. გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს მუშაობა პერიფერიებში. მწვრთნელები რაიონებში გვყავს, მაგრამ ისინი დრომოჭმული მეთოდებით ამზადებენ სპორტსმენებს, ჭიდაობის ტექნიკა კი სულ წინ მიდის. მოჭიდავეთათვის დღემდე ვერ შევძელით ქართულ ენაზე მეთოდური ლიტერატურის გამოცემა, თუმცა რა ლიტერატურაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ჯერ თვით შეჯიბრების წესებიც კი არა გვაქვს გამოცემული.

განვლილ სპარტაკიადაზე თავისუფალ ჭიდაობაში გუნდური მეორე ადგილი დავიკავეთ, გასულ წელს მოვიპოვეთ ჩემპიონობა, წელს კი მესამე ადგილზე გადავინაცვლეთ. რა შედეგს მივაღწევთ საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ კოლეგიალურად, საქმის სიყვარულით იმუშავებენ მწვრთნელები და მოჭიდავეები.

## სტარტი 25 ოქტომბერს შედგება

როგორც ცნობილია, 25 და 26 ოქტომბერს „ბურევესტნიკის“ სტადიონზე მოეწყობა საერთაშორისო მოტორბოლა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში არიან: სპორტის ოსტატები კ. ცალქალამანიძე, ვ. გრიგორიანი, თ. ჩხაიძე, თ. შალიბაშვილი, ს. რუხაძე, გ. შარაფიანი.

თვითეული გუნდი დაკომპლექტებული იქნება 6 სპორტსმენით (ყოველ კუბატურაში 2-2 მოტოციკლისტი).

შეჯიბრების დებულების თანახმად პირველ დღეს სპორტსმენებს დასაძლევი ექნებათ 8, ხოლო მეორე დღეს — 12 წრე. გამარჯვებული გამოვლინდება ორი დღის შედეგების ჯამის მიხედვით.

## რესპუბლიკური კომიტეტის პრიზზე

დამთავრდა რესპუბლიკის უძლიერესი გუნდების შეჯიბრების მესამე ტური საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზზე, რომელიც მიეძღვნა კომკავშირის მე-40 წლისთავს.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდმა ამ წრის ფინიშზე დაამარცხა უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები ერთნაირი ანგარიშით — 3:2. ამრიგად, 6 ტურის შემდეგ შეჯიბრებას 5 ქულით სათავეში უდგას მომავალ ინჟინერთა გუნდი. 3 ქულით მეორე ადგილზე არიან უნივერსიტეტის ფრენბურთელები.

ვაჟთა შორის ლიდერობს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი, რომელსაც 6 თამაშის შემდეგ აქვს 4 ქულა.

დაიწყო შეჯიბრების დასკვნითი, მე-4 ტური.



რუსთავი. მეტალურგიული ქარხნის ელექტროსარემონტო საამქროს მუშათა ფიზწუთშესვენება.

# სპარტაკიადა სტავროპოლში

ხოფლის ფიზკულტურელთა II საკავშირო სპარტაკიადის პირველი დღე წარმატებით დაამთავრეს საქართველოს კოლმეურნე ფრენბურთელებმა. ჩვენი რესპუბლიკის ვაუებმა თურქმენეთის გუნდთან შეხვედრაში ხუთიდან სამი პარტია მოიგეს, ხოლო ქალებმა „მშრალი“ ანგარიშით — 3:0 დაამარცხეს თურქმენეთის კოლექტივი. საათნახევარს გაგრძელდა საქართველოსა და უზბეკეთის ფრენბურთელ ქალთა მატჩი, რომელიც „კოლმეურნის“ სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:2, მაგრამ შემდეგში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა სუსტად ითამაშეს და ფინალურ ჯგუფში ვერ მოხვდნენ. V-VIII ადგილებისათვის მებრძოლთა შორის საქართველოს ქალთა გუნდმა ანგარიშით 3:2 მოუგო ესტონეთს, ხოლო ვაუებმა განიცადეს დამარცხება უკრაინასთან — 0:3.

კარგად დაიწყეს შეჯიბრება საქართველოს შტანგისტებმა. მჩატე წონაში სპორტის ოსტატმა რ. დათიკაშვილმა სამჭიდში მოაგროვა 310 კილოგრამი, დაამყარა ახალი რესპუბლიკური რეკორდი და პირველი ადგილი დაიკავა. გრიგორიანმა ქვემსუბუქ წონაში სამჭიდში შეძლო 325 კილოგრამის მოგროვება და პირველ ადგილზე გამოვიდა. მსუბუქი წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში კაცობაშვილმა მოიპოვა მესამე საპრიზო ადგილი, მისი შედეგია 340 კილოგრამი სამჭიდში. სამი წონითი კატეგორიის შეჯიბრების შემდეგ გუნდურ ჩათვლაში წინ არიან საქართველოს ძალოსნები, უკრაინელები იმყოფებიან მეორე ადგილზე.

მაყურებელთა დიდ ინტერესს იწვევს შეხვედრები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, სადაც არაერთი ცნობილი ოსტატი იბრძვის გამარჯვებისათვის. ონელ სპორტის ოსტატ ა. მაისურაძეს მხოლოდ ოთხი წუთი დასჭირდა აზერბაიჯანელი სეგოიანის დამარცხებისათვის. სამაგიეროდ, მისმა თანაგუნდელმა ალიევმა შეძლო რევანში აიღო როსტიაშვილთან შეხვედრაში. პაპუაშვილის მიერ უურადღების შესუსტებით კარგად ისარგებლა რსფსრ-ს გუნდის წევრმა სპორტის ოსტატმა კრავჩენკომ და მოიპოვა გამარჯვება უველაზე საინტერესო გამოდგა საქართველოს გუნდის წევრის წეველიძისა და სომხეთის წარმომადგენლის უვალიანის შეხვედრა. ორივე მოწინააღმდეგე ძალების მაქსიმალური დაძაბვით იბრძოდა ხუფთა მოგებისათვის. ამ ამოცანის განხორციელება შეძლო წეველიძემ, რომელმაც 9 წუთსა და 11 წამში ბეჭებზე დააწვინა ძლიერი მოწინააღმდეგე. წეველიძეს ორი წრის შემდეგ არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია. ესტონელმა ლორიცმა საკუთარ ფანდზე დაიჭირა ჰახარაძე და გაიმარჯვა.

თავისუფალ ჭიდაობაში სპორტის ოსტატ მუხიაშვილს საკმაო ენერგიის დახარჯვა დაჭირდა, რათა მე-8 წუთზე ხუფთად დაემარცხებინა ბელორუსელი მოჭიდავე კოვალევსკი. საქართველოს გუნდს მეორე გამარჯვება მოუტანა თეთრაშვილმა, რომელმაც სძლია ლატვიელ ცალიტის. სუსტად ჩაატარა შეხვედრა ვარდოშვილმა ესტონელ კოლარისთან, რომელმაც მე-4 წუთზე ფეხის დახმარებით შეხვედრა თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

ძალოსანთა შეჯიბრების მეორე დღეს ა. უუბანიშვილმა სამჭიდში შეძლო 390 კილოგრამის მოგროვება და მეორე ადგილის მოპოვება. სამაგიეროდ შემდეგ წონით კატეგორიაში ი. გოგიტიძემ სამჭიდში შეძლო მხოლოდ 325 კილოგრამის აწევა და გამოვიდა მეცხრე ადგილზე, რის გამოც გუნდმა საერთო მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

შედარებით დაბალი მაჩვენებლებით გამოდიან საქართველოს „კოლმეურნის“ მძლეოსნები და ველოსიპედისტები. ქალთა შორის ბირთვის კვრაში უველაზე კარგი შედეგი აჩვენა უკრაინელმა ლ. იაკოცევამ, რომლის შედეგია 14,38 მ. ვ. მხეიძის შედეგი 11,95 მხოლოდ მეხუთე აღმოჩნდა, უფრო დაბალი იყო მხეიძის მაჩვენებელი ბადროს ტყორცნაში — 36,10 მ. იგი მე-10 ადგილზეა. ა. ბადულინა სიმაღლეზე ხტომაში მე-13 ადგილზე გამოვიდა ცუდად იყო მომზადებული „კოლმეურნის“ ვაუთა გუნდი ესტაფეტაში 4×100 მეტრზე. მძლეოსნებმა მეოთხე ეტაპზე დაარღვიეს წესი და შეჯიბრებიდან მოიხსნენ.

ველოსიპედისტთა შეჯიბრება მიმდინარეობს პიატიგორსკის რაიონში. აქ სტარტზე გამოვიდა 155 სპორტსმენი, რომელთა შორის 25 ოსტატი და 80 პირველობანრიგოხანია პირველად შეჯიბრებაში ჩაებნენ ქალები 25 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში. აქ უძლიერესი აღმოჩნდა რსფსრ-ს კოლექტივი მეორე და მესამე ადგილებზე გამოვიდნენ უკრაინისა და აზერბაიჯანის სპორტსმენები. აზერბაიჯანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ საკმაოდ ძლიერი გუნდები გამოიყვანეს ფრენბურთსა და ველოსპორტში. ამ რესპუბლიკის ვაუთა გუნდმაც მე-3 ადგილი მოიპოვა 100 კილომეტრზე შეჯიბრებაში, სადაც პირველობა წილად ხვდა უკრაინის გუნდს. საქართველოს სპორტსმენებმა შესაბამისად დაიკავეს მე-9 (ქალები) და მე-12 (ვაუები) ადგილები.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჯერჯერობით წინ არიან რსფსრ-ს ფიზკულტურელები, რომლებსაც მეტოდროდ მიუვლებიან „კოლგოსპნიკის“ (უკრაინა) სპორტსმენები. საქართველოს „კოლმეურნის“ კოლექტივი მე-5 ადგილზეა.

* * *

სტავროპოლი. 20 ოქტომბერი. (ტელეგრაფით). დამთავრდა შეჯიბრება სიმძიმეთა აწევაში, თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში. შტანგისტთა შორის გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს უკრაინელმა სპორტსმენებმა. საქართველოს ძალოსნები გამოვიდნენ მეორე ადგილზე, ხოლო მესამეზე რსფსრ-ს კოლექტივი. მძიმე წონაში უძლიერესი აღმოჩნდა სპორტის ოსტატი გ. კოშაძე (საქართველო).

თავისუფალ ჭიდაობაში სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა საქართველოს „კოლმეურნის“ ნაკრები გუნდი, მომდევნო საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ რსფსრ-სა და ყირგიზეთის მოჭიდავეები. პირად პირველობაში საქართველოს ოთხი სპორტსმენი გახდა უძლიერესის სახელის მფლობელი. ესენი არიან: უმჩატეს წონაში — მონასელიძე, მჩატეში — მაისურაძე, ქვესაშუალოში — მუხიაშვილი და ქვემძიმეში — ხარაიშვილი. ამ გუნდის სხვა წევრები—კორაევი, კაციაშვილი, თეთრაშვილი და ვარდოშვილი მეოთხე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი იყო სოფლის ფიზკულტურელთა შორის, გადაინაცვლა მესამე ადგილზე. წინ არიან რსფსრ-სა და ესტონეთის კოლექტივები პირად პირველობაში მეორე საპრიზო ადგილებზე გამოვიდნენ მანელიშვილი და მახარაძე. წეველიძემ, რომელმაც წარმატებით დაიწყო შეჯიბრება, მესამე ტურში ვერ შეინარჩუნა უპირატესობა წეველიძე და ვალიევი გამოვიდნენ მესამე ადგილზე.

თ. მაჩაბელი,

ჩვენ. სპეც. კორესპონდენტი.

## ქალაქის პირველობაზე

19 ოქტომბერს დაიწყო თბილისის ძირეული კოლექტივების კალათბურთელთა პირველობის მეორე ტური. მასში მონაწილეობას იღებს ქალთა 7 და ვაჟთა 8 გუნდი.

განსაკუთრებით მწვავედ მიმდინარეობდა უნივერსიტეტისა და „დინამოს“ ქალთა გუნდების შეხვედრა, რომელშიც სტუდენტებმა მინიმალურ უპირატესობას მიაღწიეს — 28:27. უცხო ენათა ინსტიტუტის კალათბურთელებმა დაამარცხეს ტტს-ის გუნდი — 25:14.

შეჯიბრების მეორე დღეს ბრძოლაში ჩაებნენ ვაჟები. ამ დღეს ინტერესით ელოდნენ ორი უძლიერესი გუნდის — „დინამოსა“ და პოლიტექნიკური ინსტიტუტის შეხვედრას. სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა და მატჩი საკმაოდ უინტერესოდ, დაბალ სპორტულ დონეზე ჩატარდა.

დასაწყისში უპირატესობას ინარჩუნებდნენ დინამოელები, მაგრამ შემდგომში სტუდენტებმა ხელთ აიღეს ინიციატივა, გავიდნენ წინ და შეხვედრაც თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 62:54.

ამ დღის დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: ქალები — სპი-ტტს — 68:22, „დინამო“-განათლების განყოფილება — 43:3, ვაჟები — ფიზკულტურის ინსტიტუტი-ტტს — 55:45, უნივერსიტეტი-„ნორჩი დინამოელი“ — 77:28.

მესამე დღის შეხვედრებიდან ინტერესს იწვევდა პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის ქალთა შეხვედრა. უნივერსიტეტის გუნდმა დაძაბულ ბრძოლაში გაიცადა დამარცხება — 50:61. საინტერესოდ წარიმართა აგრეთვე „დინამოსა“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა გუნდების შეხვედრაც, რომელშიც 2 ქულის განსხვავებით გაიმარჯვეს დინამოელებმა.

დანარჩენი შეხვედრების ტექნიკური შედეგები ასეთია: ქალები— განათლების განყოფილება-უცხო ენათა ინსტიტუტი — 27:38, ვაჟები — სპი-ფიზკულტურის ინსტიტუტი — 63:37, „დინამო“-„ნორჩი „დინამოელი“—97:33, უნივერსიტეტი-ცხიმკომბინატი — 77:60, ტტს- განათლების განყოფილება — 55:47.

ლ. ფალიანი

# ფეხბურთი



### გათამაშების ცხრილი

IV ზონა

მდგომარეობა 23 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ერევანი) | 29 | 16 | 9 | 4 | 45:14 | 41 |
| სკკო (როსტოვი) | 29 | 17 | 7 | 5 | 69:24 | 41 |
| „ყუბანი“ (კრასნოდ.) | 29 | 18 | 5 | 6 | 60:31 | 41 |
| „ლოკომოტივი“ (ქუთაისი) | 30 | 17 | 6 | 7 | 66:38 | 40 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 30 | 14 | 10 | 6 | 57:36 | 38 |
| სკკო (თბილისი) | 28 | 15 | 5 | 8 | 48:34 | 35 |
| „თერგი“ (გროზნო) | 30 | 14 | 5 | 11 | 46:49 | 33 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 28 | 11 | 9 | 8 | 42:37 | 31 |
| „ლოკომოტივი“ (სტალინო) | 30 | 12 | 6 | 12 | 53:54 | 30 |
| „შახტიორი“ (კადიევკა) | 30 | 10 | 9 | 11 | 40:38 | 29 |
| „შახტიორი“ (შახტი) | 30 | 8 | 7 | 15 | 29:44 | 23 |
| „სპარტაკი“ (სტავროპ.) | 30 | 6 | 11 | 13 | 32:56 | 23 |
| „მეტალურგი“ (სტალინგ.) | 30 | 9 | 5 | 16 | 28:52 | 23 |
| „შირაქი“ (ლენინაკ.) | 30 | 8 | 3 | 19 | 22:44 | 19 |
| „ტემპი“ (მახაჩყ.) | 30 | 5 | 5 | 20 | 25:57 | 15 |
| „ტრუდი“ (ასტრახანი) | 29 | 4 | 2 | 23 | 24:77 | 10 |

## თასი გათამაშდა

დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდებისათვის.

თასის ფინალში გავიდნენ მოსკოვის „დინამოს“ მე 19 რაისაბჭოსა და რამენსკის (მოსკოვის ოლქი) „ტრუდის“ გუნდები.

ფინალური მატჩი, რომელიც 21 ოქტომბერს შედგა მოსკოვში, დამთავრდა ფრედ — 2:2.

გუშინ გუნდები განმეორებით შეხვდნენ ერთმანეთს. თასი მოიპოვა მე-19 რაისაბჭოს გუნდმა. მატჩის ანგარიშია 5:1.

## მატჩი ლონდონში

1958 წლამდე ინგლისისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები ფეხბურთში არც ერთხელ არ შეხვედრიან ერთმანეთს, წელს კი მათი მატჩები შედგა სამჯერ ზედიზედ. ორი მათგანი დამთავრდა ფრედ, ხოლო ერთი — საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებით.

გუშინ ლონდონში შედგა ამ ორი გუნდის მეოთხე შეხვედრა. ინტერესი მატჩისადმი უდიდესი იყო არა მარტო ბრიტანეთში, არამედ მთელს საფეხბურთო სამყაროში. ბილეთები „უემბლის“ სტადიონზე დიდი ხნის წინათ გაიყიდა. მატჩის ტრანსლაცია წარმოებდა მთელს ევროპაში. მსაჯად საგანგებოდ იქნა მიწვეული ცნობილი ფრანგი მსაჯი მორის გიგი.

შეხვედრა დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით ანგარიშით 5:0.

## ისევე, როგორც უწინ...

მოსკოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). დედაქალაქის სპორტულ საზოგადოებრიობაში დიდ ინტერესს იწვევს ვეტერან ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ მოსკოვის, თბილისის, ლენინგრადისა და კიევის გუნდები.

გათამაშებაში პირველად უნდა შეხვედროდნენ კიეველი და თბილისელი ფეხბურთელები, მაგრამ უამინდობის გამო თამაში გადატანილ იქნა. იგი შედგა 20 ოქტომბერს.

თბილისელებმა შესანიშნავად ჩაატარეს მატჩი და მოიპოვეს დაძაჯერებელი გამარჯვება ანგარიშით 4:0. 2 ბურთი გაიტანა თოდრიამ, თითო — ა. პაიჭაძემ და პანიუკოვმა.

გუშინ შედგა ფინალი. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და თბილისის ვეტერანთა გუნდები. ანგარიშით 2:1 გაიმარჯვეს მოსკოველებმა.

ისევე, როგორც ახალგაზრდობის წლებში, თბილისის „დინამოს“ ვეტერანებმა დაიკავეს შეორე ადგილი.

რ. კაკბაძე

# ეს იყო მეგობრობის დიდი სპორტული დღესასწაული

★ ★

### არმიელთა სპარტაკიადა ლაიპციგში

★ ★

გულთბილად მიგვიღო გერმანიის ამ ერთ-ერთმა ულამაზესმა ქალაქმა — ლაიპციგმა. ბერლინიდან 11 ავტობუსით წასულები, ბევრნი ღამით ჩავედით ქალაქში. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა პარტიულ სკოლასთან, სადაც ჩვენს დელეგაციას უნდა ეცხოვრა, ლაიპციგის მრავალი მკვიდრი შეგვხვდა. აქ იყვნენ სამხედრო სპორტსმენები, სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები, „უბრალო" ლაიპციგელები. ავტობუსებიდან გამოსვლა ვერც კი მოვასწარით, რომ იგრიალა ორკესტრმა, ცაში აიჭრნენ შუშხუნები, მოგვართვეს ოცცხალი ყვავილების თაიგულები, გულთბილი მისასალმებელი სიტყვით მოგვმართა ლაიპციგის ობერბურგომისტრმა ამხანაგმა ულიხმა.

მეორე დილით, ადრიან გამოვედით ქუჩაში. გაგვანცვიფრა ქალაქის საზეიმოდ მორთულობამ—მრავალი ტრანსპარანტი, ლოზუნგი, სპარტაკიადაში მონაწილე ქვეყნების ეროვნული ალმები, — ყველაფერი ეს ერთვოდა ლაიპციგელთა საზეიმო განწყობილებას, რომლებიც დიდი ინტერესით მოელოდნენ მეგობრული არმიების უძლიერეს სპორტსმენთა სპარტაკიადის დაწყებას.

ვარჯიშისგან თავისუფალ დროს ვათვალიერებდით ქალაქის მუზეუმებს, მსხვილ საწარმო დაწესებულებებს. ვნახეთ სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის შენობაში გამოფენილი სპარტაკიადაში გამარჯვებულთათვის დაწესებული ჯილდოები. ეს ნამდვილი მუზეუმი იყო. თვალს იტაცებდა ოსტატურად შესრულებული ძვირფასი საჩუქრები. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მიერ დაწესებული დიდი თასი, რომელიც უნდა გადაცემოდა გუნდს ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლებისათვის სამხედრო სამჭიდში. თასის ერთ მხარეს აღბეჭდილია სპარტაკიადის ემბლემა, მეორე მხარეს კი დიდი წრე, რომელშიც მოთავსებულია ერთმანეთზე გადაჭდობილი 12 რგოლი მონაწილე ქვეყნების ეროვნული ალმებით.

შესანიშნავ სანახაობას წარმოადგენდა ლაიპციგის ცენტრალური სტადიონი სპარტაკიადის საზეიმო გახსნის დღეს. ცაში გამოჩნდა 12 თვითმფრინავი, თვითეულ მათგანზე ფრიალებდა მონაწილე ქვეყნების დროშები, ჰაერში აიტყორცნა შუშხუნები, უდიდესი, ძალზე დიდი ხიმალლიდან სტადიონის მინდორზე დაეშვა ერთად შეკრული სპარტაკიადის მონაწილე ყველა ქვეყნის ეროვნული ალმები, რომლებიც მანამდე თვითმფრინავებზე ფრიალებდნენ. როგორც კი დამთავრდა საჰაერო მარშ-პარადი, ფანფარებმა აუწყეს სპარტაკიადის სამხედრო-სპორტული აღლუმის დაწყება. მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალ-პოლკოვნიკი ვილი შტოფი.

ჩვენ, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ტანმოვარჯიშეებს, ძალზე გვაინტერესებდა სხვა სახეობათა შეჯიბრებების ნახვა, მაგრამ რადგან ისინი დემოკრატიული რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში მიმდინარეობდა, ამისი შესაძლებლობა არ გვქონდა. ამიტომ შევჩერდები ტანმოვარჯიშეთა პირველობის მსვლელობაზე. მოსკოვში საწვრთნელი ვარჯიშების დროს მე ტრავმა მივიღე და ჩვენს გუნდს მაყურებლად გავყევი, მაგრამ ნაკრები გუნდის მწვრთნელმა ლიტვინოვმა გამაფრთხილა, რომ თუ გუნდისათვის საჭირო იქნებოდა ჩემი დახმარება, ავადმყოფობის მიუხედავად უნდა გამოვსულიყავი შეჯიბრებაში. ახეც მოხდა.

ჩვენი ქვეყნის არმიელთა გუნდმა თავისი გამოსვლა დაიწყო ტაიჭზე ვარჯიშით. აქ მხოლოდ ორმა — პ. სტოლბოვმა და ვ. ლიპატოვმა მიიღეს მაღალი შეფასება, ხოლო ვ. ლეონკინმა, ნ. მილიგულომ და ნ. ჩერნოვმა ვერ შეძლეს თავიანთი ოსტატობის სრულად გამოვლინება. ჩვენი გუნდი მოულოდნელ წინააღმდეგობას წაწყდა ჩინელების, გერმანელებისა და ჩეხების მხრივ, რომლებიც თანაბარი ძალით ასრულებდნენ ვარჯიშებს იარაღებზე. განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ღერძზე ვარჯიში. აქ საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს პირველ ადგილს ეცილებოდნენ ჩეხები, განსაკუთრებით ფ. დანიში. სავალდებულო ვარჯიშში თანაბარი ქულები—9,8 მივიღეთ პ. სტოლბოვმა და მე. პირველ ნებისმიერ ვარჯიშში მსაჯებმა ჩემი ვარჯიში იხილეს 9,8 ქულით შეაფასეს, ხოლო პ. სტოლბოვმა გამოტოვა ერთ-ერთი ილეთი, ვარჯიში არ დაამთავრა და ჩეჩის მაღლა აწევით მოითხოვა მისი ხელმეორედ შესრულება. მსოფლიო პირველობის პრიზიორის სახახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შესანიშნავი ოსტატობით დაამთავრა კომბინაცია და მიიღო უველა ტანმოვარჯიშისათვის სანუკვარი შეფასება — 10 ქულა. მეორე ნებისმიერ ვარჯიშში კვლავ 9,8 ქულა დავიმსახურე, როცა ჩემი უახლოესი მეტოქის პ. სტოლბოვის ვარჯიში კვლავ 10 ქულით იქნა შეფასებული. ამ იარაღზე პირველი ადგილი წილად ხვდა პ. სტოლბოვს. მე ვერცხლის მედლით დამჯილდოვეს. სხვა იარაღებზეც საბჭოთა გუნდს ტოლი არა ჰყავდა. ჩვენ მოვიგეთ საერთო გუნდური პირველი ადგილი და თვითეულ ჩვენგანს გადმოგვცეს ჩემპიონის ოქროს მედალი.

ძალზე მოგვხიბლა ქალაქის კეთილმოწყობილმა სპორტულმა ბაზებმა, რომლებიც დიდი რაოდენობითაა ლაიპციგში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული ბაზა, რომელიც 20-მდე დარბაზს ითვლის აქ არის სპეციალური დარბაზები სპორტის თითქმის ყველა სახეობისათვის. შესანიშნავი სანახავია ტანვარჯიშული დარბაზი, რომლის მთელ სიგრძეზე ჩამოკიდებულია რგოლების 12 კომპლექტი, დგას მრავალი ტაიჭი, ღერძი, ორძელი, არის კარგად მოწყობილი მოედანი თავისუფალი ვარჯიშისათვის.

საღამოობით ყველა იკრიბებოდა ჩვენს საცხოვრებელ სახლში. აქ ეწყობოდა გამარჯვებულებთან შეხვედრა, რომლებსაც ჩვენ გადავცემდით სამახსოვრო საჩუქრებს — ფოტოაპარატებს, რადიომიმღებებს, ველოსიპედებს, საათებს, აკორდიონებსა და სხვ. განსაკუთრებით ბევრი საჩუქარი ხვდათ წილად საბჭოთა ტანმოვარჯიშეებს, რომლებმაც ჩემპიონობის 24 ოქროს მედლიდან დაისაკუთრეს 22.

მეგობრული არმიების პირველი სპარტაკიადა დამთავრდა, მაგრამ კვლავ გრძელდება მასში მონაწილე სპორტსმენების გულთბილი მეგობრობა, რომელსაც ქალაქ ლაიპციგში მიეცა დასაბამი. ეს იყო არა მარტო სპორტული ჭიდილი პირველობის მოპოვებისათვის. ამ მნიშვნელოვანმა ღონისძიებამ გამოავლინა მასში მონაწილე სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების ურთიერთმეგობრული დამოკიდებულების ნათელი გრძნობა.

დავემშვიდობეთ მასპინძლებს, სხვადასხვა ქვეყნების სპორტსმენებს. წარუშლელი შთაბეჭდილებით დავტოვეთ სტუმართმოყვარე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

**რ. კაშახიძე,**
სპორტის ოსტატი.

# ფინალი — საიუბილეო დღეებში

რესპუბლიკის გუნდური პირველობის ფინალური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელიც მიეძღვნა თბილისის 1500 წლისთავს, ჩატარდა სწორედ იმ დიდი ზეიმის დღეებში, რომელსაც თბილისის მშრომელები იხდიდნენ.

როგორც ყოველთვის, ფინალურ შეჯიბრებას წინ უსწრებდა ზონალური შეჯიბრებები. სამ ზონაში პირველ-მეორე ადგილებზე გამოსულ გუნდებს ეძლეოდა ფინალში მონაწილეობის უფლება. დასავლეთ საქართველოს ზონაში გაიმარჯვეს ქუთაისისა და სამტრედიის გუნდებმა, ქართლის ზონაში — გორისა და მცხეთის გუნდებმა, კახეთის ზონაში, რომელიც მეტად უფერულად ჩატარდა, ვინაიდან მასში მონაწილეობა არ მიუღიათ ახმეტის, თელავის, ლაგოდეხის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებს, ერთმანეთს შეხვდნენ საგარეჯოსა და წითელწყაროს რაიონების გუნდები. გაიმარჯვეს საგარეჯოელმა მოჭიდავეებმა და მხოლოდ ისინი იქნენ დაშვებული ამ ზონიდან ფინალურ შეჯიბრებაზე.

კენჭისყრის შედეგად შეჯიბრების გახსნა წილად ხვდა ორი უძველესი ქალაქის — მცხეთისა და თბილისის გუნდებს. პირველივე წყვილებიდან ზედიზედ სამი სუფთა მოგებით წინ გავიდა თბილისის გუნდი და გამარჯვებაც მას ხვდა წილად—4:24. ყველაზე საინტერესო ამ გუნდების შეხვედრაში აღმოჩნდა თბილისელი ა. კიკნაძისა და მცხეთელი ა. ქიბროწაშვილის ორთაბრძოლა. ქულებით გამარჯვება მოიპოვა ა. კიკნაძემ. გორისა და ქუთაისის გუნდების შეხვედრაში 10:18-ზე გაიმარჯვეს გორელმა მოჭიდავეებმა, ხოლო საგარეჯოსა და სამტრედიის გუნდების შეხვედრაში — საგარეჯოელმა მოჭიდავებმა — 17:19.

ორი დღის ასპარეზობა წაუგებლად განვლო და პირველი ადგილი დაიკავა დედაქალაქის გუნდმა. მეორეზე გამოვიდნენ გორელები, რომლებიც მცირე განსხვავებით ჩამორჩნენ თბილისის მოჭიდავეებს. მესამეზეა — მცხეთის გუნდი.

**ი. ტერუნაშვილი,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

• • •

საქართველოს ჩემპიონი თბილისის გუნდი. მარცხნიდან პირველ რიგში — ჩ. ქუცნიაშვილი, ო. ქაცანაშვილი, მ. ელერდაშვილი, რ. სესიაშვილი, ნ. მუჩიაური, გ. სულაშვილი, ა. კიკნაძე, ბ. ჩიკვილაძე.



### წერილი რედაქციას

## ნუ დავივიწყებთ

ჩვენი საყვარელი თბილისის შესახებ, განსაკუთრებით ახალგაზრდა ლოვანი იუბილეს დღეებში, ბევრი რამ დაიწერა. გავიხსენეთ ბევრი რამ შორეული და უფრო ახლო წარსულიდანაც. გავიხსენეთ ერისათვის თავდადებული, უანგარო მსახურნი, გავიხსენეთ თეატრის, მუსიკისა და ხელოვნების სხვა დარგების წარმომადგენლები.

ეს ყველაფერი კარგია. ერმა არ უნდა დავივიწყოს თავისი მოამაგენი, მაგრამ ჩვენი დარგის — ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მოღვაწენი სხვებთან შედარებით ჩრდილში მდგარნი აღმოჩნდნენ. ჩვენ მტკივნეულად განვიცდით იმას, რომ შესაფერისი აღნიშვნა და ყურადღება არა აქვთ იმ პიროვნებს, ვინც შესანიშნავი კვალი დატოვეს საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების საქმეში.

ამ დარგში უდიდესი ღვაწლი მიუძღვით გიორგი ეგნატაშვილს, გიორგი და თამარ ნიკოლაძეებს. მათ დაუფასებელი ამაგი დასდეს იმ თაობათა აღზრდის საშვილიშვილო საქმეში, რომელთა წარმატებებითაც ჩვენ დღეს ვხარობთ და ვამაყობთ.

ცნობილია, რომ გიორგი ეგნატაშვილი ორჯერ მონაწილეობდა მსოფლიო პირველობაზე ტანვარჯიშში და 1912 წელს თბილისის ტანმოვარჯიშეებმა მისი ხელმძღვანელობით გაიმარჯვეს მსოფლიო შეჯიბრებაზე.

ასეთივე ძლიერი ტანმოვარჯიშე და ალპინისტი იყო გიორგი ნიკოლაძეც. ეს ადამიანი შესანიშნავად აერთებდა მეცნიერისა და სპორტსმენის საქმიანობას. ამ ბოლო ხანებში სპორტის სხვადასხვა სახეობათა წარმომადგენლებმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს. მძლეოსნებმა დაიწესეს ე. გოკიელისა და ლ. ხანაძის პრიზები, ფეხბურთელებმა—ბ. პაიჭაძის, ვ. მარღანიას, გ. ანთაძის, შ. შავგულიძის პრიზები. არასოდეს არ ივიწყებენ თავიანთ გამოჩენილ წინაპრებს ალპინისტებიც.

სამწუხაროა, რომ ქართველ ტანმოვარჯიშეებს ამ მიმართებით ჯერ არაფერი გაუკეთებიათ. რატომ არ უნდა დაწესდეს გიორგი ნიკოლაძის, გიორგი ეგნატაშვილისა და სხვათა სპეციალური პრიზები?

ნუ დავივიწყებთ ჩვენს სახელოვან ტანმოვარჯიშეთა ამაგს!

**ა. კაიშაური**

## მოგოგადარბენა

სოხუმის ავტო-მოტოკლუბის ინიციატივით მოეწყო მოტოგადარბენა მარშრუტით: სოხუმი-ტუაფსე-ნოვოროსიისკი-მაიკოპი - კრასნოდარი-ორჯონიკიძე-თბილისი - ქუთაისი-სოხუმი. გადარბენას სტარტი მიეცა 7 ოქტომბერს, ხოლო დამთავრდა 15 ოქტომბერს.

გადარბენის კომანდორმა ამხ. ა. ჯაფარიძემ განაცხადა, რომ რთული მარშრუტის მიუხედავად, სპორტსმენებმა წარმატებით დაამთავრეს გადარბენა სამამულო მოტოციკლებით.

**ვ. სემიონოვი**


# ლომეული

მე-3 გვ. № 127 (1297)

## ცხენოსანთა შეჯიბრებები





### გუდაუთა

სოფელ ლიხნში მოეწყო გუდაუთის რაიონის ცხენოსანთა შეჯიბრება. მაყურებელთა შორის მრავლად იყვნენ სტუმრები სოჭიდან, რომლებიც საგანგებოდ ჩამოვიდნენ აქ შეჯიბრებაზე დასასწრებად.

„მსუბუქი კლასის“ დაბრკოლებათა გადალახვაში საუკეთესო იყო კ. ჩუაზი, რომელმაც გაიმარჯვა აგრეთვე დაბრკოლებათა გადალახვაში „პირველ შეცდომამდე“. ჩეხვაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა ზ. ანშბას.

მეტად საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება ისინდში, სადაც გაიმარჯვეს სოფ. ააცის ცხენოსნებმა. ცხენბურთში რევანში აიღეს სოფ. ლიხნის წარმომადგენლებმა.

მაყურებელთა საყოველთაო ინტერესი გამოიწვია მარულამ 10 კილომეტრზე. მეშვიდე კილომეტრამდე თავს უჭერდა ცხენს მხედარი დ. აჩბა (სოფ. აჩანდარა). შემდგომში მან სრული სისწრაფით გაუშვა ცხენი და გაიმარჯვა კიდეც.

სხვა სახეობებში პირველი ადგილები დაიკავეს ს. ჭამბამ, გ. და კ. არძინბებმა, კ. ბგამბამ, ა. აიბამ. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ლიხნელებმა.

ჯ. ანთია

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — ჩეხვაში გამარჯვებული ზ. ანშბა. ქვევით — კ. ჩუაზი დაბრკოლებათა გადალახვისას.

### ქუთაისი

აქ მოეწყო თბილისის, ქუთაისისა და ცხაკაიას ცხენოსანთა შეჯიბრება.

დაბრკოლებათა გადალახვაში „მეგობრობის თასზე“ პირველი ადგილი დაიკავა გვერდწითელმა (თბილისი). მარულა 8 კილომეტრზე მოიგო ქუთაისელმა კიკნაძემ. დოლში 2 კილომეტრზე პირველი იყო თბილისელი პეშჩეროვი, ხოლო 3 კილომეტრზე — მანჯავიძე.

ი. ბუხაიძე

# დიდი მოგზაურობის ქრონიკა

დიდი ყოველდღიურად ვარჯიშობს სამ საათს, ხანდახან მეტსაც. „რას იზამ, — ამბობს იგი, — მხოლოდ მატჩებით ფორმას ვერ შეინარჩუნებ“. საინტერესოა დიდის ნაამბობი, რომელიც შეეხება ბრაზილიის ნაკრების მზადებას მსოფლიო ჩემპიონატისათვის.

— 1954 წლის მარცხის შემდეგ ჩვენ ვიგრძენით, რომ საჭირო იყო ხშირი შეხვედრები ევროპის ქვეყნების გუნდებთან, რათა გავცნობოდით აქაური ფეხბურთის თავისებურებებს. ჩვენ მაშინ ძალზე გულუბრყვილონი ვიყავით და არ გვყოფნიდა საერთაშორისო შეხვედრათა გამოცდილება. ტურნემ, რომელიც მოვაწყეთ 1954 წელს ევროპის ქვეყნების ნაკრები და საკლუბო გუნდების წინააღმდეგ, უდიდესი სარგებლობა მოგვიტანა.

მახსოვს მატჩი იუგოსლავიის ნაკრებთან 1954 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. იმ დროს ევროპაში მოდაში იყო კორპუსით თამაში, რასაც ბრაზილიელი ფეხბურთელები არ იცნობდნენ. მაშინ, ლოზანაში, ჩემს სხეულზე არ დარჩა არც ერთი ჯანმრთელი ადგილი. ამის შემდეგ მე და ჩემმა ამხანაგებმა ვისწავლეთ როგორ უნდა აგვეცილებინა თავიდან მეტოქის ძალისმიერი თამაში ტექნიკური ილეთების გამოყენებით.

აი, მეორე მომენტი. მანამდე ჩვენ ვერაფრით ვერ შევეჩვიეთ ევროპის მინდვრების მძიმე გრუნტს და ხშირად ვკარგავდით წონასწორობას. ახლა უკვე სხვა სურათია: იქ, სადაც ეცემა ბრაზილიელი, ეცემა ევროპიელიც.

უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში ძალზე მაღალი იყო გუნდის მორალურ-ნებელობითი მომზადება. ბრაზილიელი საზღვარგარეთ ყოველთვის განიცდის მწვავე სევდას სამშობლოზე, ნათესავებზე. „საუდარი“ (ასე ეწოდება ჩვენთან ამ გრძნობას) — ბრაზილიელი ფეხბურთელის უბოროტესი მტერია საზღვარგარეთ. ამ პრობლემის გადაწყვეტაზე საფუძვლიანად იმუშავეს ჩვენმა ხელმძღვანელებმა. იცით, როგორ შეხვდა უცხოეთის პრესა ცნობას იმის შესახებ, რომ ჩვენთან მუშაობს ექიმი-ფსიქოლოგი? ამას სარეკლამო ტრიუკად თვლიდნენ. პირველად ჩვენ თვითონ ძალზე ვერიდებოდით ექიმ კარვალხაესს, მაგრამ შემდეგ დავრწმუნდით, რომ მისი დახმარება უძვირფასესი იყო ჩვენთვის. როცა რამე არ გამოგვდიოდა, როცა განგაშის გრძნობას განვიცდიდით, როცა ნერვები აღარ გვიძლებდა კარვალხაესი გვამშვიდებდა, აღვივებდა ჩვენში დამაჯერებლობას. იგი ჩვენთვის ნამდვილი მამა იყო.

ჩვენ გვყავდა სპეციალური ხელმძღვანელი ფიზიკურ მომზადებაში — რაულო ამარალი. ამ სამუშაოს იგი „ბოტაფოგოს“ გუნდში ასრულებდა. მის დროს არ იყო სპორტული დისციპლინისა და რეჟიმის დარღვევის შემთხვევები. ჩვენ კატორღელებივით ვმუშაობდით ყველაფერმა ამან ჩინებული შედეგები მოიტანა. ასეთი ინტენსიური მზადების შემდეგ შვეციის დატვირთვა არც თუ ისე მძიმედ გვეჩვენა.

ერთმანეთთან საკონტროლო მატჩების დროს ვიყენებდით „ბი-ტოკვეს“, რის გამო [illegible] დავემშვიდობეთ ძველ ჩვევებს. დამიჯერეთ, რომ — [illegible] ფეხბურთელისათვის, რომელსაც ასე ძლიერ უყვარს ბურთი, ეს ერთგვარი რევოლუცია იყო. მაგრამ ყველაფერმა ამან გაგვიადვილა თამაში, უფრო ეფექტური, სწრაფი და რეალისტური გახადა იგი.

შვეციაში გამოვდიოდით ისეთი შემადგენლობით, რომელიც ყველა წინანდელზე უფრო ძლიერი იყო. მსოფლიო ჩემპიონობას რომ მოვიპოვებდით ჩემთვის ნათელი გახდა სსრ კავშირის ნაკრებ გუნდთან გამარჯვების შემდეგ. მანამდე ჩვენი თავდასხმის ხაზი არ გვაკმაყოფილებდა. მაგრამ მოვიდა პელე, რომელიც იქცა ზამბარად, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მთელი მექანიზმი. ყველა თამაშობდა ჩინებულად. უშეცდომოდ ასრულებდა თავის ამოცანას „ტანდემი“—ზელიტო, ორლანდო „ვასკო და გამას“ ორი მცველის გუნდში შეყვანამ შესანიშნავი შედეგი მოგვცა. მათი ურთიერთგაგება შეუდარებელი იყო და ოთხი მცველის სისტემა, ასე კარგად არასდროს გამოგვიყენებია, ნილტონი და ჯალმა სანტოსები ბრწყინვალედ უწყობდნენ ხელს ამ სისტემის წარმატებით რეალიზაციას. პელე მალე გახდება მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე. იგი სულ 17 წლისაა, მაგრამ მას ფეხებსა და თავში უკვე ფეხბურთელის 17 წლის სტაჟი აქვს.

— ითამაშეთ ისე, როგორც თქვენ შეგიძლიათ თამაში! — გვითხრა მწვრთნელმა ფეოლამ.

მან შეძლო კარგად გამოეყენებინა თვითეული ფეხბურთელის ინდივიდუალური თვისება და ტემპერამენტი, არ გვიკრძალავდა შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლინებას. კერძოდ, მე მინდა განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა მას, რომ მომცა სრული ტაქტიკური თავისუფლება. „გააკეთე მინდორზე რაც გინდა, — მითხრა მან, — შენ საკმაოდ ხანდაზმული ხარ და იცი როგორ მოიქცე. შენ აქ დირიჟორობა უნდა გასწიო, ე. ი. ორგანიზაცია გაუკეთო თამაშს“. მოხარული ვარ, რომ არ გავაწბილე ჩვენი მწვრთნელი.

რამ გამაკვირვა ყველაზე უფრო შვეციაში? ყველა მონაწილის ჩინებულმა ფიზიკურმა მომზადებამ, მათმა ათლეტიკურმა თვისებებმა. ისეთ გუნდებთან როგორიც არიან სსრ კავშირი, ინგლისი და უელსი, თამაში ძალზე ძნელია, რადგან ისინი ძალისმიერ ფეხბურთს იყენებენ. ჩვენ, ბრაზილიელებს მეტად არ გვიყვარს თამაშის ასეთი სტილი და იმისათვის, რომ მიგვეღწია სანუკვარი მიზნისათვის, უნდა ვყოფილიყავით ნამდვილად საუკეთესო ფორმაში.

(დასასრული. დასაწყისი. იხ. „ლელო“ № 126).

ჟურნალი „სპორტივნიე იგრი“, № 9, 1958 წ.


## 24-27 ოქტომბერი, ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი, საქართველოს 1958 წლის პირველობა

მონაწილეობენ: „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „სპარტაკის“, „ლოკომოტივის“, „შრომითი რეზერვების“, საბჭოთა არმიის თბილისის სპორტული კლუბის ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 10-19 ს.

მონაწილეობენ: სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი რ. კაჭახიძე, საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონები თ. ბეთანელი და ა. ნარიმანოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატები: მ. ჯუღელი, გ. შარაბიძე, სპორტის ოსტატები: რ. შარაბიძე, ნ. მაკალათია, რ. პერტენავა, ო. ქორქია, უ. ვარდიაშვილი, ი. ამაშუკელი, ნ. ფრიდონიშვილი, ზ. გვეტაძე, მ. ნინოშვილი, მ. ცნობილაძე, ვ. კლიმოვა, ე. ქაჯაია, ტ. კომისარენკო, ე. ხახუბია და სხვები.

25-26 ოქტომბერი, თბილისი, „ბურევესტნიკის“ სტადიონი

საერთაშორისო

## მოტორბოლა





მონაწილეობენ: ავსტრიის, ბულგარეთის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის მოტოციკლისტები.

საბჭოთა კავშირიდან გამოდიან: საბჭოთა კავშირის, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს გუნდები.

შეჯიბრების დასაწყისი: 25 ოქტომბერს — 15 საათზე, 26 ოქტომბერს — 12 საათზე.


### არც ერთი ესპანელი

ევროპის ჩემპიონებისა თასის სამგზის მფლობელი „რეალი“ (მადრიდი) შეიძლება ერთ-ერთ უძლიერეს საკლუბო გუნდად ჩაითვალოს მსოფლიოში. მაგრამ „რეალის“ მიღწევები სრულიად არ ასახავს ფეხბურთის განვითარების დონეს ესპანეთში. ეს გუნდი მეტწილად ნაყიდი „ვარსკვლავებისაგან“ შედგება. მოგვყავს მისი დღევანდელი თავდასხმის შემადგენლობა, სადაც არც ერთი ესპანელი არ არის — კოპა, პელე, დი სტეფანო, პუშკაში, ჰენტო.

რედაქტორი ი. უგულავა.


გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის 3-89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06648